

ქეთი რამიშვილი

**ცხოველსახოვანი შესაბნელები
არაბვის ხეობიდან
(ირემი)**

მცირე ქანდაკებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ სახვით ხელოვნებაში. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, განსაკუთრებით XX საუკუნეში, დაგროვდა დიდძალი ნივთიერი მასალა, რაც საშუალებას იძლევა მატერიალური კულტურის სხვა სახეობებთან ერთად სათანადოდ იქნეს შესწავლილი მცირე პლასტიკის მრავალფეროვანი ჯგუფებიც. ამჟამად გამოქვეყნებულია არა ერთი თვალსაჩინო ნაშრომი, რომლებიც მიძღვნილია ანტროპომორფული და ზომორფული გამოსახულებების კვლევისადმი. (1; 2; 3; 8; 11; 12; 14; 18; 19; 20; 21; 25; 28, 29).

ჩვენი დაინტერესების საგანს უკვე კარგახანია წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის და მთის ცხოველსახოვანი გამოსახულებები, რომლებიც ძირითადად აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ არაგვის აუზში, ხეობათა ზემო ნაწილში, კერძოდ, სოფლებში ჟინვალში, ნეძიხში, ბადრიანებში, წაფრანისძირში და აგრეთვე ალაზნის ზემოწელზე, სოფ. ომალოში და სხვა პუნქტებში (5; 10; 4).

მცირე პლასტიკის ნიმუშებს შორის საგანგებოდ გამოვყოფთ ცხენის, ჯიხვის და ირმის გამოსახულებათა ჯგუფს, რომელიც თავისი აღნაგობით და ფუნქციური დანიშნულებით ორიგინალურია: ეს ფიგურები ასრულებს მშვილდსაკინძის თუ “შესაბნევის“ მოვალეობას და ამ მიზნით, ცხოველთა ჰორელიეფურ გამოსახულებებს არაახილული (უკან, ანუ მარცხენა) შეღრმავებული მხრიდან მოწყობილი აქვთ ნემსისებრი ენა და ენის წვერის ამოსადები ილღია(5;4).

შესაბნევად გამოყენებულ ზომორფულ გამოსახულებათა შორის ყველაზე დიდი რაოდენობით ირმის ფიგურებია მიკვლეული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ნეძიხის სამაროვანი (ფშავის არაგვის ხეობა), სადაც აღმოჩნდა 4 შესაბნევი. თითო-თითო მოპოვებულია ჟინვალის (10) ბადრიანების (გამთხრელი ც. რობაქიძე) და ომალოს სამაროვნებზე.

გარდა შესაბნევის (მშვილდსაკინძის) ფუნქციის მქონე ფიგურებისა, არაგვის აუზში აღმოჩენილია ირმის მცირე ქანდაკებათა ნიმუშებიც, რომელთა უმეტესობა ბრინჯაოს ძეწკვებზე ყოფილა ჩამოხმული. ამაზე მიუთითებს ფიგურათა ზურგზე არსებული რგოლისებრი ყუნწები, რომლებიც გამოსახულებებთან ერთადაა ჩამოსხმული. ორიოდ მათგანზე ბრინჯაოს ძეწკვიცაა შემონახული. როგორც შესაბნევები, ასევე წვრილი ქანდაკების ნიმუშები, დამზადებულია ჩამოსხმის წესით. რაც შეეხება გამოსახულებათა თარიღს, ჩვენ ვიზიარებთ ძეგლის გამთხრელთა თვალსაზრისს, რაც დამყარებულია სამარხეული ინვენტარის კომპლექსურ კვლევაზე. მშვილდსაკინძის ფუნქციის მქონე შესაბნევები, და მათ შორის ირმის ფიგურები, დათარიღებულია ახ. წ. III-IV საუკუნეებით. V საუკუნის სამარხებში მსგავსი საგნები უკვე აღარ დადასტურებულა.

ამგერად ჩვენ ვისაუბრებთ მხოლოდ ირმის გამოსახულებებზე, მაგრამ ვიდრე შევეცდებოდეთ ირმის „შესაბნევთა“ მხატვრულ-სტილურ ან ტექნოლოგიურ დახასიათებას, მკითხველს ვთავაზობთ გამოსახულებათა აღწერას.

1. „შესაბნევი“ ხარ-ირმის გამოსახულებით - (ბრინჯაო 09-LXI-86-179)¹

აღმოჩნდა 123-ე ორმოსამარხში, დაკრძალულის ყელისა და მკერდის არეში.

„შესაბნევი“ წარმოადგენს ხარ-ირმის ჰორელიეფურ გამოსახულებას, რომელიც მარჯვენა პროფილშია წარმოდგენილი, სახით მაყურებლისაკენ. გამოსახულება, ფაქტობრივად, მრგვალი ქანდაკების სიგრძივ გაჭრილი მარჯვენა ნახევარია (ტაბ. I, 4).

¹ 09-XLI-86-179. ინდექსში 09 - აღნიშნავს ჟინვალის ექსპედიციას, მომდევნო რომაული ციფრები უზნის ნომერს - ამ შემთხვევაში XLI- აღნიშნავს ნეძიხის სამაროვანს, მომდევნო ორი ციფრი გათხრის წელია, ბოლო - ნივთის სავლე ნომერი.

31 XXII-89-40 ინდექსში 31 აღნიშნავს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, ხოლო რომაული ციფრებით აღნიშნულია ბადრიანების სამაროვანი (XXII)

09 - XXV 80-458 ინდექსში რომაული ციფრებით აღნიშნულია ჟინვალის სამაროვანი

უკანა (უხილავი) მხრიდან შეღრმავებულია და სქემატურადაა დამუშავებული. ხილული (წინა) ნახევარი შესრულებულია რეალისტურ მანერაში. ცხოველის გავა, მუცელი, კისერი და ორი მარჯვენა ფეხი გადმოცემულია მაღალი რელიეფით, რაც ქმნის მოცულობის ეფექტს, რამდენადმე სქემატურადაა გადმოცემული ირმის თავი, ზომაზე მეტად წაგრძელებული დრუნჩით, მკვეთრად მოდელირებული ნესტოებითა და ქვედა ტუჩზე უძრავად მიმაგრებული მცირე რგოლით. რელიეფურია თვალები. დაცქვეტილ ყურებს შორის აღმართულია ქორბუდა რქა, თითოეული ექვსი შვერილით. რქების ზედა ნაწილში გარდიგარდმო ჩამაგრებულია ბრინჯაოს წნული ღერო, რომლის ბოლოებიც მთავრდება მცირე რგოლებით. მოკლე, აპრეხილ კუდს აგრეთვე მიმაგრებული აქვს ბრინჯაოს მცირე რგოლი. უკანა მხარეს ორივე ფეხი, რომლებიც ფაქტობრივად, ბრინჯაოს ღეროებს წარმოადგენს, გამოყენებულია შესაბნევი ენის დასამაგრებლად. შესაბნევის რკინის ენა (რაზედაც მიუთითებს რკინის ჟანგის ნაშთი) ფუძით უკანა 'ფეხის' ზედა ნაწილზე ყოფილა შემოხვეული, ხოლო წვერი ჯდებოდა წინა 'ფეხში', რომელიც კაუჭივითაა მოხრილი. წინა და უკანა ფეხები ჩლიქის დონეზე ორ-ორი მოკლე გამირით ყოფილა შეერთებული. ირმის გამოსახულება შემკულია მზის სიმბოლური გამოსახულებით და კისერზე მექექისებრი ხალით.

ირმის შესაბნელებთან ერთად სამარხში აღმოჩნდა წვრილრგოლიანი ძეწკვის რამდენიმე ნაწყვეტი, რომლებიც ფეხის გამირებზე უნდა ყოფილიყო ჩამოხმული რაც შეეხება რქებზე, ტუჩსა და კუდზე არსებულ მომცრო რგოლებს, თუ ანალოგიების მიხედვით ვიმსჯელებთ, მომცრო ზარაკები უნდა ყოფილიყო ჩამოკიდებული. ზომები: სიგრძე 5 სმ. სიმაღლე 7,6 სმ.

2. შესაბნევი ხარ-ირმის გამოსახულებით, ბრინჯაოსი (09- LXI-86-215). დაზიანებულია. აღმოჩნდა 127 ორმოს სამარხში, დაკრძალულის სახის წინ (ტაბ. I, 5):

შესაბნევი წარმოადგენს ხარ-ირმის გამოსახულების ნაწილს. შემორჩენილია ქორბუდა რქებიანი თავი, კისერი დაზიანებული ყოფილა სამარხში მოხვედრამდე. ფუნქციის აღდგენის მიზნით, კვლავ შესაბნევად გადაუკეთებიათ. კერძოდ, შესაბნევის ენა (ბრინჯაოსი) ფუძით გამოუღვიათ ირმის მარჯვენა გახვრეტილ ყურში, ხოლო მარცხენაში გაუყრიათ ბრინჯაოსვე მოზრდილი რგოლი ენის წვერის გამოსადგებად. თავი რამდენადმე სქემატურადაა გამოსახული. თვალები

და ნესტოები რელიეფურადაა მოდელირებული. ქვედა ტუჩზე მიმაგრებული აქვს მცირე რგოლი, რომელზედაც ჩამოკიდებულია კონუსური მოყვანილობის მცირე ზარაკი. ყურებს შორის აღმართულია წყვილი რქა, თითოეული ექვსი შვერილით. როგორც ჩანს, რქების ზედა ნაწილში გადებული ყოფილა ბრტყელი წნული ღერო, რომელიც მომტვრეულა. მისი ნაშთი მარჯვენა რქაზეა შემორჩენილი, რომელიც გარეთ არის მიქცეული და შემკულია მცირე რგოლით. მსგავსი გამოსახულებებისაგან იმით გამოირჩევა, რომ მარჯვენა რქის ფუძესა და კისერზე მიმაგრებული აქვს მარჯვნივ მიმართული ორი ლილვაკი, ზედ მირჩილული თვალბუდის მრგვალი ფუძით, რომელზედაც დამაგრებულია თხელი თვალბუდე მინის თვალით. ეს ელემენტიც შეძენილი უნდა იყოს გადაკეთების დროს. ჩვენი ვარაუდით, თავის დროზე, ქვედა ტუჩის მსგავსად, ყურებსა და ბამირზე ჩამობმული უნდა ყოფილიყო ძეწკვები ზარაკებითურთ ან სხვა საკიდებით.

3. შესაბნევი ხარ-ირმის გამოსახულებით, ბრინჯაო (09- LXI-მ6-757) (ტაბ. I. 1). აღმოჩნდა 199-ე ორმოსამარხში, დაკრძალულის სახის წინ. წინგანხილული გამოსახულებების ანალოგიურია, ოღონდ ამ ცალზე შედარებით სრულადაა შემორჩენილი ირმის 'სამკაული'.

ხარირემი გამოსახულია მარჯვენა პროფილში, მარჯვნივ თავმობრუნებული, სახით მნახველისაკენ. ირმის ფიგურის მარჯვენა (ხილული) ნახევარი რელიეფურადაა დამუშავებული, ოდნავ წინ წადგმული ფეხებით. უკანა (არახილულ, შეღრმავებულ მხარეს, სქემატურად გამოსახულ ფეხებზე, შესაბნევია მოწყობილი. შესაბნევის ენა რკინისა ყოფილა, შემონახული არ არის. საფასადო მხარის სხეულის ნაკვეთები გადმოცემულია რეალისტურ მანერაში. განსაკუთრებით საყურადღებოა თავი, რომელზეც თვალები რელიეფური ბურთების სახითაა წარმოდგენილი. წაგრძელებული დრუნჩის ქვედა ტუჩზე უძრავად აქვს მიმაგრებული მცირე რგოლი, რომელზეც თხელფურცლიანი მცირე მედალიონია ჩამოკიდებული. დაბერილი ნესტოები გამოსახულებას დინამიზმს მატებს. დაცქვეტილი ყურები შუაში ოვალურადაა ჩახვრეტილი და მათში მცირე რგოლებია გამოდებული. ყურებს შორის აღმართულია ქორბუდა წყვილი რქა, თითოეული 7-7 განშტოებით და განიერ ნაწილში წნული გამირით, რომელსაც ბოლოებზე თითო რგოლი აქვს გამობმული. სამარხის პრეპარაციის დროს, მარცხენა რგოლთან აღმოჩნდა დედალი

დუგმისებრი საკიდი (ბრინჯაოსი), რომელიც რგოლებზე ყოფილა ჩამობმული. შესაძლოა ასეთი დუგმისებრი საკიდი ირემს მარჯვენა რგოლზეც ჰქონოდა, თუ რა იყო ჩამობმული ყურებზე, გაურკვეველია. გამორიცხული არ არის, რომ ყურებს ამშვენებდა ბრინჯაოს, ნალისებრი ის ორი საკიდი, მკერდის არეში რომ იქნა ნაპოვნი. გავაზე აპრეხილ კუდთან აქვს რგოლი, რომელზეც მიმაგრებულია მრგვალი, მედალიონისებრი ფირფიტა. ის ქიმიური დამუშავებისას დაიშალა. წინა და უკანა ფეხები, ჩლიქის დონეზე, ერთმანეთთან წვრილი მოკლე გამირითაა დაკავშირებული. გამირებზე ბრინჯაოს ძეწკვებია ჩამოკიდებული. წინა ფეხებზე ორი და უკანაზე - ერთი. თითოეული 30-32 სმ სიგრძისაა. ძეწკვები ბოლოვდება ფოთლისებრი მრავანილობის ყუნწიანი თხელი ფირფიტებით, რომელთა წვერები ბურთულეებითაა დაბოლოებული. ხარირმის ტორსი (გავა და მუცელი) შემკულია მზის სიმბოლური გამოსახულებით.

ზომები: სიგრძე - 5,9 სმ.

ფოთლისებრი საკიდის სიგრძე ყუნწიანად - 3 სმ.

4. შესახვევი ხარირმის გამოსახულებით (09- LXI-86-860), (ტაბ. I, 2), აღმოჩნდა 168-ე სამარხის დასავლეთით, ფენაში, მიწის ზადაპრიდან 1 მ. სიღრმის ფენაში. შესახვევი წარმოადგენს ხარირმის ჰორელიეფურ გამოსახულებას, რომელიც დგას მარჯვენა პროფილში, მარჯვნივ თავმობრუნებული, სახით მნახველისაკენ. მარჯვენა ხილული მხარე გადმოცემულია მაღალი რელიეფით, რეალისტურ მანერაში. რამდენადმე სქემატურია ცხოველის სახე, თუმცა მთლიანობაში გამოსახულება საკმაოდ რეალისტურია. ფიგურა პროპორციულია და მიუხედავად სტატიკური პოზისა, შეიგრძნობა ერთგვარი შინაგანი დინამიზმი და ექსპრესია. თავაწეული, შორს მაცქერალი ირემი თითქოს მყვირალობის მომენტშია დაფიქსირებული, რასაც აძლიერებს მკვეთრად მოდელირებული დაბერილი ნესტოები. ქვედა ტუჩზე უძრავადაა მიმაგრებული ბრინჯაოს პატარა რგოლი, რომელშიც გაყრილია იმავე ზომის მეორე რგოლი. მუცლის შუაში უძრავი რგოლი აქვს მიჩილული. აცქვეტილ და გახვრეტილ ყურებს შორის აღმართულია წყვილი რქა, თითოეული ექვსი შვერილით. რქების ზადა ნაწილში გარდიგარდმო ჩამაგრებულია წნული გამირი, რომლის შუიდან ირმის კეფაზე დაშვებულია წვრილი გრეხილი მავთული. გამირის ორივე ბოლო მთავრდება მომცრო რგოლებით, რომლზეც ჩამობმულია თითო მოძრავი რგოლი. ზემოხსენებულ ყველა რგოლებზე

უეჭველია ჩამობმული იქნებოდა ირმის 'სამკაულები' (მრგვალი ფირფიტები, ზარაკები ან დედალი დუგმისებრი ხვიები).

უკანა (უხილავი) შეღრმავებულ მხარეს, სქემატურად გამოსახულ ფეხებზე მოწყობილი ყოფილა შესაბნევი, წვერის ამოსადები კაუჭით წინა ფეხზე. ნემსი ყოფილა რკინის, რომლის ფუძე უკანა ფეხზეა შემორჩენილი ჩლიქის დონეზე არსებულ მოკლე გამირებზე ჩამობულია თითო ძეწკვი ბოლოში ფოთლისებრი თითო საკიდით.

ზომები: გამოსახულების სიგრძე - 5,5 სმ, სიმაღლე - 8,5 სმ.

თავის სიმაღლე რქებთან ერთად 2,9 სმ

უკანა ძეწკვის სიგრძე 23 სმ

საკიდის სიგრძე 3,1 სმ

ექვგარეშეა, რომ შესაბნევი ამოვარდნილია დაზიანებულნი ორმოსამარხიდან, სავარაუდოა აქ ქვისსამარხების გამართვის დროს.

5. ხარირმის ქანდაკება, ბრინჯაოსი (09- LXI-86-645).

აღმოჩნდა 175-ე სამარხის მიხვეტილ ძვლებში, სამარხის ფსკერის დონეზე. წარმოადგენს მრგვალი ქანდაკების თავისებურ ნიმუშს, განიერი გავით, წაგრძელებული კისრით, სქემატურად დამუშავებული ფეხებით და მოგრძო დრუნჩით. მუცლის არე ღრუა, სხეულის ორივე მხარე ერთნაირადაა დამუშავებული. თავზე, ყურებს შორის ადგას ხუთშვერილიანი ქორბუდა რქა. ფეხები ბოლოებში (ჩლიქის დონეზე) გაერთიანებულია. ზურგზე ქანდაკებას აქვს უძრავი რგოლი, რომელიც ცხოველის ტანთან ერთადაა ჩამოსხმული. ამ რგოლში გადმოღებულია სხვადასხვა ზომის უხეშად ნაკეთები, რგოლებით შედგენილი ძეწკვი.

ზომები: სიგრძე 5,4 სმ, სიმაღლე - 4,5 სმ. ძეწკვის სიგრძე 33 სმ.

6. ხარირმის წყვილი (ორი) გამოსახულება - საკიდი ძეწკვზე - ბრინჯაოსი (09- LXI -85-237).

აღმოჩნდა 26-ე ორმოსამარხში, დაკრძალულის სახით წინ. საკიდები წარმოადგენენ ირმის სტილიზებულ მცირე ქანდაკებებს, რომელთაგან ერთს (სიგრძე 3,8 სმ, სიმაღლე საკიდ რგოლთან ერთად 2,1 სმ) აქვს კონუსურად წინ წაგრძელებული დრუნჩი, ძალზე სუსტად დანაკვთული სხეული. მუცლის მხრიდან ტანი შეღრუებულია. ფეხები ოთხი სწორი შვერილით არის გამოსახული. თავზე, ყურებს შორის, ამოზიდულია წყვილი რქა, თითოეული სამი შვერილით, ზურგზე აქვს საკიდი რგოლი.

ქანდაკება (სიგრძე 3,4 სმ, სიმაღლე ყუნწიანად 1,6 სმ). წინგანხილულის მსგავსია, ოღონდ ირმის სახე, ამ შემთხვევაში, კიდევ უფრო სქემატურია.

ბრინჯაოს ძეწკვი, რომლის ბოლოებზეც ეს ორი ფიგურაა გამობმული, შედგენილია მრგვალი ღეროებისაგან დამზადებული რგოლებისაგან (ძეწკვის სიგრძე 51 სმ, ერთი რგოლის სიგრძე 0,7 სმ).

7. შესაბნევი, ხარირმის გამოსახულებით (31-XXII-89-52 ტაბ. I,6) აღმოჩნდა მე-6 ორმოსამარხში, რომელიც დაზიანებული იყო. წარმოადგენს ორმის სტატიკურ ფიგურას, რომელიც მარჯვენა პროფილშია გამოსახული, მარჯვნივ თავმობრუნებული, სახით მაყურებლისკენ. ირმის საფასადო ნახევარი მაღალი რელიეფითაა შესრულებული. ფიგურა ზოგადად პროპორციულია, მხედველობაში გვაქვს ტორსი და თავი, რაც შეეხება რქებს, ის ფიგურასთან შედარებით არაპროპორციულად დიდი ზომისაა. ამობურცული ნაწილებისა (მკერდი, გავა) და ჩაწეული ადგილების (წელის არე) მონაცვლეობით მიიღწევა მოცულობითი შთაბეჭდილება. ზოგადად, ფიგურა რეალისტიურია, თუ არ ჩავთვლით ირმის სახეს, რომელიც რამდენადმე სქემატურია და პირობითი. ზომაზე მეტად წაგრძელებულ დრუნჩზე შეიმჩნევა ორი ნესტო: ქვედა ტუჩზე უძრავი რგოლია, რომელშიც ირმის სამკაული (ზარაკი ან სხვა რამ), უნდა ყოფილიყო ჩამობმული. თვალები რელიეფური ბურთულებითაა გადმოცემული დაცქვეტილ ყურებს შორის აღმართულია წყვილი ქორბუდა რქა, ერთზე 6 და მეორეზე 5 შვერილით. რქების განიერ ნაწილში გარდიგარდმო გადებული ყოფილა გამირი, გრეხილი ღერო, რომლის მცირე ნაწილია შემორჩენილი. გავაზე პატარა, აპრეხილი კუდი აქვს, მისი გვერდი დამშვენებულია მზის სიმბოლური გამოსახულებით.

ფიგურის უკანა, შეღრუებული მხარე დამუშავებულია მეტად სქემატურად. აქ, პირობითად, ღეროების სახით გამობერილი ფეხები გამოყენებულია შესაბნევისათვის. კერძოდ, უკანა ფეხის ღეროზე დახვეული ყოფილა რკინის ენის ფუძე, ხოლო წინა ფეხზე წინა და უკანა წყვილები ერთმანეთთან გაერთიანებულია ორ-ორი მოკლე გამირით. ზომები: სიგრძე - 5,6 სმ. სიმაღლე - 7,7 სმ.

8. შესაბნევი. ხარ-ირმის გამოსახულებით, ბრინჯაოსი (09-XXV-80-458).

აღმოჩნდა 357-ე ორმოსამარხში, დაკრძალულის მკერდის არეში. (ტაბ. II, 3)

წარმოადგენს ირმის პორელიეფურ გამოსახულებას, რომელიც წარმოდგენილია მარჯვენა პროფილში, მარჯვნივ მობრუნებული თავით, სახით მაყურებლისაკენ. საფასადო მხრიდან ფიგურა ზოგადად

რელისტურია, სხეულის ნაკვთები მკვეთრად არის მოდელირებული, რაც მოცულობის ეფექტს იძლევა. რამდენადმე სტილიზილებულია სახის ნაკვთები, დრუნჩი ზომაზე მეტადაა წაგრძელებული შემსხვილებულ ზედა ტუჩზე გამოყვანილია წყვილი ნესტო, ოდნავ გაღებული პირიდან ენის წვერი გარეთ აქვს გამოყოფილი, რაც შესაძლოა, გამოსახავს ცხოველს მყვირალობის პერიოდში. რამდენადმე მოზრდილ ყურებს შორის აღმართულია წყვილი რქა, თითოეული 5-5 შვერილით. განსაკუთრებული სიზუსტითაა გამოსახული ცხოველის მარჯვენა ფეხები ჩლიქებითურთ, აქვს მოკლე აპრეხილი კუდი.

ფიგურის უკანა მხარე შეღრმავებულია, მარცხენა ფეხები სქემატურადაა გამოსახული. უკანა ფეხის დეროზე მოხვეული ყოფილა შესაბნევი ნემსის ფუძე, ხოლო ენის წვერი კი ამოიდებოდა წინა ფეხის დეროზე გამოყვანილ კაუჭში. ფეხების წინა და უკანა წყვილები ერთიმეორესთან, ჩლიქის დონეზე, ორ-ორი მცირე გამირითაა გაერთიანებული ამ გამირებზე ჩამობმულია ძეწკვები. ერთი წინაზე (შეიცავს 56 რგოლს), მეორე უკანაზე (54 რგოლი) ძეწკვები დაბოლოებულია დედალი დუგმისებრი საკიდებით, რაც ნემსის სამაროვნის ირემსაც გააჩნდა. ზომები: სიგრძე - 6,1 სმ; სიმაღლე - 8,4 სმ; შესაბნევი ენის სიგრძე - 5,2 სმ.

წინა ძეწკვის სიგრძე 27 სმ; უკანასი 24, 4 სმ.

9. შესაბნევი, ხარ-ირმის გამოსახულებით, ბრინჯაოსი (ომალოს სამაროვანი, 1966 წ; დანგრეული ქვაყუთიდან) წარმოადგენს მარჯვენა პროფილში გამოსახულ ცხოველს, რომელსაც ქორბუდა რქებით შემკული თავი მობრუნებული აქვს მარჯვნივ. ფიგურის მარჯვენა ხილული მხარე. ჰორელიეფურია, ნაკვთები მოცულობითია და გადაწყვეტილია რელისტურ მანერაში. არახილულ (მარცხენა) მხარეს, სქემატურად გამოსახულ ფეხებზე მოწყობილი აქვს შესაბნევი ნემსი და ნემსის წვერის ამოსადები ილღია. ეს ფიგურაც, ჩანს, შესრულებული ყოფილა საკიდებით და ძეწკვებით. სახის ნაკვთები რამდენადმე სტილიზებულია, თვალები გამოსახულია მეჭეჭისებრი დანაძერწებით (ტაბ. II, 7).

სიგრძე - 6 სმ; სიმაღლე 7,5 სმ.

ჩვენთვის ცნობილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით “შესაბნევად“ გამოყენებული ზოომორფული გამოსახულებების (ირემი, ჯიხვი, ცხენი) გავრცელების არეალი, სადღეისოდ, შემორთარგლულია აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთისა და მთის იმ მონაკვეთით,

რომელიც მოქცეულია კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, მდ. ალაზნისა და არაგვის ხეობებს შორის. ზოომორფული შესაბნელების უკიდურესი აღმოსავლეთი საზღვარი, ჯერ-ჯერობით ალაზნის სათავეში მდებარე სოფ. ომალოა (ქსნის ხეობიდან, ან უფრო დასავლეთი რეგიონებიდან, მსგავსი შესაბნელები ცნობილი არ არის) თუ აღმოჩენათა სიხშირის მიხედვით ვიმსჯელებთ, ზოომორფული შესაბნელები ყველაზე ფართოდ არაგვის აუზის შუაწელზეა გავრცელებული. ამნიშნით, გამორიცხული არ არის, მათი წარმოებაც, სადაც იმ ზონაში, შესაძლოა სულაც უინვალში იყო ორგანიზებული.

შესაბნევად განკუთვნილი ირმების ჰორელიეფური გამოსახულებები დამზადებულია ყალიბში ჩამოსხმის წესით იმგვარად, რომ მისი ხილული ანუ საფასადო მხარე წარმოადგენს საკმაოდ რეალისტურ, მაღალ რელიეფში შესრულებულ გამოსახულებას, ფაქტობრივად მრგვალი ქანდაკების სიგრძივ ნახევარს. რამდენადაც რეალისტურადაა დამუშავებული შესაბნევთა წინა მხარე, იმდენად სქემატარი და უსახურია მათი არახილული მხარე. უკანა მხარის დამუშავება მთლიანადაა დამორჩილებული საგნის პრაქტიკული მოთხოვნისა და ფუნქციური დანიშნულებისადმი: სქემატურად გამოსახულ ორ მარცხენა ფეხზე მიმაგრებულია შესაბნევის ნემსი, წინა ფეხზე კი მისი ამოსადები ილღია. უკანა მხრიდან ფიგურა შედრმავეებულია, რითაც ნივთი განტვირთულია ლითონის ზედმეტი მასისაგან. ირმის გამოსახულებებს ენა (ანუ ნემსი) მეტწილად რკინისა ჰქონიათ და ამიტომ ცუდადაა დაცული. საგანგებო ყურადღებას იქცევს ირმების თავის მოდელირება. მარჯვენა პროფილში გამოსახულ ყველა ფიგურას თავი მობრუნებული აქვს მარჯვნივ, სახით მაყურებლისაკენ. გაშლილი და დატოტვილი რქები ირმის სხეულთან ერთადაა ჩამოსხმული. თუ როგორ ხორციელდებოდა ეს ტექნიკურად, ჯერ-ჯერობით გაურკვეველია. გამირები კი ზოგჯერ მირჩილულია რქაზე და ზოგჯერ რქებთან ერთადაა ჩამოსხმული. გამოსახულებების შესამკობი ატრიბუტები (ძეწკვები თავისი საკიდებით, დედალი ღუგმები ორმაგი სპირალები, ზარაკები, მრგვალი ფირფიტები და სხვა) მზადდებოდა ცალკე და შემდეგ ხდებოდა მათი ჩამობმა ფეხებზე (ზოგჯერ მუცელზე) და რქების გამირის ორივე მხარეს დატანებულ მომცრო რგოლებზე.

შესაბნელების დიდი ნაწილი აღმოჩენილია დაკრძალულთა მკერდის არეში ან სახის წინ, რაც შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ ამ ზოომორფულ შესაბნელებს ძირითადად ატარებდნენ, როგორც

სამკაულს, მკერდზე ან საყელოს სიახლოვეს მიმაგრებულებს. გამორიცხული არ არის, რომ ეს სიმბოლოები მიემაგრებიანთ ხატის დროშებზეც რელიგიური დღესასწაულების დროს.

ზომორფული შესაბნევების შემცველ სამარხებში აღმოჩენილი სხვა ნივთების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ სიმბოლოების მფლობელების აბსოლუტური უმრავლესობა ქალები იყვნენ, რაც ოსტეოლოგიური და კრანიოლოგიური მასალების ანალიზითაც დასტურდება.

ირმების, უფრო ზუსტად, ხარირმების ფიგურები მთლიანობაში პროპორციული და სიმეტრიულია და ზოგადად 'რეალისტურ-დეკორატიულ მანერაშია გადმოცემული. ამ ნიშნით ისინი ემსგავსებიან ჩვენს მიერ უკვე განხილულ ცხენის გამოსახულებებზე (4, 68-77), თუმცა რეალიზმის ელემენტები ირმების გამოსახულებებში რამდენადმე უფრო ჭარბია. რეალისტურ მანერასთან, ამავე დროს ზომიერადაა შერწყმული სტილიზაციის ელემენტები, განსაკუთრებით სახე-დრუნჩის მოდელირებაში. ისევე როგორც ცხენის ფიგურაში, აქაც მაღალ რელიეფში შესრულებული ნივთები (გავა, მუცელი, მკერდი), ამოზიდული და ჩაზნექილი მასების დენადი მონაცვლეობა ქმნის სხეულის მოცულობით შთაბეჭდილებას იმ ზომამდე, რომ იქმნება მრგვალი ქანდაკების შეგრძნება. ხარირმის ფორმა ნატიფი და დახვეწილია, რაც სილუეტის გარშემომჭერი ხაზის პლასტიკური დენადობითა და დინამიზმითაა განპირობებული. ნატურალისტური სიზუსტითაა გადმოცემული არა მარტო სხეულის ნაკვთები, არამედ ცადატყორცნილი ქორბუდა რქებით დამშვენებული თავ-კისერი, რომელიც თითქოს ზეციურ სამყაროსთანაა დაკავშირებული. ფიგურის ავტორი თითქოს რქებით ასრულებს კომპოზიციის მთლიანობას. ოსტატი მარჯვედ აზოგადებს ფორმას, მაგრამ ამავე დროს არ კარგავს დეტალებსაც. პირიქით, იყენებს მას კომპოზიციის მთლიანობის წარმოსაჩენად. ერთი შეხედვით სტატიკური ფიგურები უდავოდ დატვირთულია შინაგანი დინამიზმით, რაც მიღწეულია პლასტიკური ფორმების სრულყოფით, სტილიზაციით ელემენტებისა და ხაზის დენადობის ზომიერი შერწყმით. ოსტატი ახერხებს გადმოგვცეს არა მარტო ნივთის ვიზუალური სინატიფე, არამედ ცდილობს ჩაწვდეს გამოსახულების იდეურ არსს, იმ ღვთაებრივ საწყისს, რასთანაც მსგავსი გამოსახულებები თავისი გენეზისითაა დაკავშირებული.

ადამიანის ხელით შექმნილ ფასეულობათა შორის ცხოველთა გამოსახულებებს საყურადღებო ადგილი უკავია. სრულიად აშკარაა,

რომ ცხოველთა გამოსახვის სურვილი ადამიანებს უძველესი დროიდან გაუჩნდათ, რაც თავისი გენეზისით დაკავშირებული იყო მათ ძირითად საარსებო საქმიანობასთან - მონადირეობასთან. ამის მეტყველი მაგალითია ალტამირას გამოქვაბულებში, ტასილის კლდეებზე და დედამიწის მრავალ კუთხეებში შემონახული ცხოველთა ნაკაწრი თუ ნახატი ფიგურები, რომლებიც მკვლევართა მიერ სამართლიანადაა დაკავშირებული სამონადირეო მაგიასთან, ადამიანთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან, ტოტემისტურ აზროვნებასთან და განახლებად ბუნების თაყვანისცემასთან.

მოგვიანო ხანაში, განსაკუთრებით ლითონების ეპოქაში, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა საზოგადოების ძირითად საარსებო წყაროდ იქცა წარმოებითი მეურნეობა და წარმოუდგენლად გართულდა საზოგადოებრივი ურთიერთობები, ცხოველთა გამოსახულებების რიცხვი კიდევ უფრო გამრავლდა, ამასთანავე, მან ძირითადი გავრცელება პოვა ლითონის პლასტიკაში. ასეთი მდგრადობის მიზეზი იყო არა მხოლოდ ის, რომ მონადირეობამ, როგორც მეურნეობის დარგმა შემდგომ ეპოქებშიც შემოინახა თავი, არამედ ისიც, რომ ღვთაებათა ანთროპომორფიზაციის პირობებში ცხოველთა ცალკეული სახეობანი და მათი გამოსახულებანი მჭიდროდ დაუკავშირდა შესაბამის მფარველ ღვთაებებს და მათ აუცილებელ ატრიბუტებად თუ სიმბოლოებად იქცნენ. ეს სიმბოლოები, როგორც ღვთაებათა არსის და თვისებების გამომხატველი, განუყრელად იყვნენ დაკავშირებული სათანადო რელიგიურ რიტუალებთან და, ამდენად, ამ ღვთიური თუ ნაწილიანი ცხოველების ფიგურათა სიმრავლეც გასაგებია. ცხოველსახოვან გამოსახულებათა შორის (ჯიხვი, ირემი, ხარი, ცხენი, გველი, ძაღლი, ფრინველი, ნიამორი, ვერძი) უძველესი დროიდანვე განსაკუთრებული ადგილი ეკავა ირემს. (2, 190-192; 13, ტაბ. XXII; 11, 63 და შემდეგი; 12, 52 და შემდეგი; 7; 8; 19 და სხვა).

საქართველოს არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ირმის უძველესი გამოსახულება, ჯერ-ჯერობით ცნობილია ქვემო ქართლიდან, კერძოდ, არუხლოს გორაზე ენეოლითური ხანის დასასრულის ფენაში აღმოჩენილია თიხის სამწახნაგა ნაკეთობა, რომლის ერთ-ერთ წახნაგზე ამოკვეთილია რქებგატოტვილი ირემი (15). ამავე ცხოველის გამოსახულებები დამოწმებულია ხიზანაანთ გორას E ფენაში და ქვაცხელას C, ჰორიზონტის №7 შენობაში (2, 190), რომელიც ჩანს კულტმსახურების დროს გადაამწვარია. ამ სათავსოს იატაკზე,

აღმოჩნდა მსხვერპლად შეწირული ხბოს ჩონჩხი, რომლიც მკვლევართა ვარაუდით (ლ. ლლონტი) ირმის მსხვერპლად შეწირვის იმიტაციას წარმოადგენს. (2, 190). ი. კიკვიძის ვარაუდით ირემი ენეოლითის დასასრულის და ადრებრინჯაოს ხანაში უკვე დაკავშირებული იყო ნაყოფიერების აგრარულ კულტთან (2, 191).

ირმის ღვთაებრიობა ან მისი კავშირი ღვთაებრივ ძალებთან განსაკუთრებით ხაზგასმით გადმოიციემოდა რქების მეშვეობით. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებით, ირმის რქებს საგანგებო ადგილი ეკავა კულტმსახურების შესრულების დროს. შემთხვევითი არ არის, რომ ძველი ქვეყნების რელიგიებში რქა ზოგადად წარმოადგენდა სიუხვის სიმბოლოს, მაგრამ ირმის რქებისადმი ძველი ადამიანების განსაკუთრებულ ყურადღებას, წმინდა ვიზუალურ ეფექტთან ერთად ასაზრდოვებდა ისიც, რომ, ი. კიკვიძის ვარაუდით, ირმის რქას მაგიური ძალა მიწის დამუშავების პროცესში მიეწერა, რადგანაც უძველესი მიწის საჩიჩქნი (დასამუშავებელი) ‘თოხები“ თუ პრიმიტიული სახვნელები ირმის და ირმისნაირი ცხოველების რქებისგან კეთდებოდა (შულავერი, იმირის გორა, არუხლო, ურბნისი, ქვაცხელა). ამასთანავე, როცა უძველესი ადამიანი და კერძოდ კი შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ხელოსნები ირმის ქორბუდა რქებს განსაკუთრებული ხაზგასმით გამოსახავდნენ, ამით მიუთითებდნენ მის ღვთაებრიობას და ‘ნაწილიანობას“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ირემი, როგორც შუასეკელის წარმომადგენელი და ნაყოფიერების ღვთაების ინკარნაცია, თავისი ქორბუდა რქებით უკავშირდებოდა ზესეკელს, ციურ სამყაროს, ღვთაებათა საბრძანისს, და ამდენად იგი, მსგავსად სიცოცხლის ხისა, გამოხატავდა სამყაროს მთლიანობას. შეიძლება ითქვას, რომ ქორბუდა ირემი იყო სიცოცხლის ხის მთარული სიმბოლო. ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, გვიანი ბრინჯაოს ხანის სახვით ხელოვნებაში ირმის დიდ პოპულარობაზე მიუთითებს აქ აღმოჩენილი და ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებით დათარიღებული მისი უამრავი გამოსახულება, მცირე ქანდაკება თუ გრაფიკული ფიგურა (20; 21; 11; 12; 8 და სხვა).

რკინის ფართოდ ათვისების ხანაში, როცა ბრინჯაომ თითქმის ყველა ყოფით სფეროში ადგილი დაუთმო რკინას, ღვთაებრივ გამოსახულებათა რიცხვმა საგრძნობლად იკლო, მაგრამ ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში სამკაულებთან ერთად ბრინჯაოსაგან კიდევ მზადდებოდა მცირე პლასტიკის ნიმუშები, სადაც ძველი

ტრადიციისამებრ ირმის გამოსახულებები საკმაოდ მრავლადაა დადასტურებული. ამ მხრივ საყურადღებოა ე. წ. ყაზბეგის განძი (30) და მისი სინქრონული სხვა განათხარი მასალები. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ეკონომიკურმა და სოციალურმა ძვრებმა არსებითად შეცვალა საზოგადოებრივი განვითარების ტემპი და არსი, ძველი ტრადიციები განსაკუთრებით სულიერი კულტურის სფეროში კვლავ განაგრძობდა არსებობას. განახლებადი ბუნების სიმბოლიკა კვლავ რჩებოდა ხალხის რწმენის ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად. ასევე, კვლავ განაგრძობდა არსებობას მცირე პლასტიკის ნიმუშების შესრულების მანერაც, რაც ძლიერ სტილიზაციაში გამოიხატებოდა. ეს მოვლენა კარგად არის ასახული ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნით დათარიღებულ ისეთ არექოლოგიურ მასალაში, როგორცაა ჭვირული აბზინდები, რომლის სიუჟეტებში კვლავ ხშირად ფიგურირებს ირმის და ნუკრების გამოსახულებები (11).

ირმის კულტი დამახასიათებელი იყო არა მარტო ქართველური ტომებისათვის და საქართველოს თითქმის ყველა ეთნოგრაფიული კუთხისათვის, არამედ მთელი კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის, ჩრდილოეთი ქვეყნების და ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებისათვის, რაც საშუალებას იძლევა რელიგიურ-მითოლოგიური შეხედულებების და გამოსახულებათა ტიპოლოგიური პარალელების მოშველიებით ნათელი მოეფინოს კავკასიური ცხოველური სტილის განეზისის საკითხს და ირმის გამოსახულებათა ადგილს კავკასიის რელიგიურ და ყოფით სამყაროში. ირმის კულტი და ნაყოფიერების ღვთაებათა თაყვანისცემა ფართოდაა ცნობილი დაღესტანსა და ჩეჩენ-ინგუშეთში. ინგუშების შეხედულებით ცხოველთა ქალღვთაება მონადირეს თეთრი ირმის სახით გამოეცხადება (33, 36). ჩერქეზთა (ადიღეელთა) შეხედულებით ნადირობისა და ტყის ღვთაება *მე ზითხას*, რომელიც თავის საბრძანისში ოქროს ტახტზე ზის, ემორჩილებიან შორეულ მინდვრებსა და ტყეებში ბინადარი ირმები (34).

საქართველოსა და კავკასიაში გავრცელებულ ცხოველის სახოვან ფიგურებთან და, განსაკუთრებით, ირმების ფიგურებთან დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ ბერძნულ მითოლოგიაში დატული სიუჟეტები; სადაც ქართული ბუნების დიდი დედის ორეული - არტემიდე, მოგვიანებით მონადირეობის და ცხოველთა მფარველ ღვთაებად გვევლინება. არტემიდე სიკვდილით სჯის აქტეონს, რომელმაც ისარით განგმირა ღვთაებრივი ირემი. არტემიდეს ზოომორფულ განსახიერებას

და კავკასიური სტილის ირმების გამოსახულებებს გარკვეული მსგავსება გააჩნიათ ლურისტანში აღმოჩენილ ფიგურებთან. ლურისტანის მასალების მიხედვით ჩანს, რომ უმთავრეს ღვთაებას, ამ კულტურის მატარებელთა ყოფაში, ნადირობისა და ნაყოფიერების ქალღვთაება წარმოადგენდა, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს ატრიბუტი და სიმბოლო ირემი იყო (35). ირმის კულტი და გამოსახულებები ასევე ფართოდ იყო ცნობილი ბერძნულ ხელოვნებაშიც.

კავკასიურ ცხოველურ სტილში გარკვეული გარდატეხა შეინიშნება ე. წ. ადრეანტიკური ხანიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ პერიოდიდან სახვით ხელოვნებასა და განსაკუთრებით, მცირე პლასტიკაში თავი იჩინა ახალმა ტენდენციებმა, რაც გამოიხატებოდა ძლიერი სტილიზაციის თანდათანობით დაძლევაში და მის სანაცვლოდ გამოსახვის რეალისტური მანერის დამკვიდრებაში (1). ამგვარ მიდრეკილებაზე მეტყველებს მცხეთაში აღმოჩენილი ჭურჭლი, სადაც გამოსახულია ორი 'რქებაყვავებული' ჯიხვის, ქორბუდა ირმის და მწვერის საკმაოდ რეალისტური ფიგურები. აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა ახ. წ. პირველ საუკუნეებში, რასაც ბუნებრივად მიმდინარე პროცესებს გარდა, ხელს უწყობდა კავკასიაში რომაული და პართულ-სასანური ტორეტიკული ნაწარმის გავრცელება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულმა მცირე პლასტიკამ, მიუხედავად რელიზმისაკენ გადადგმული გარკვეული ნაბიჯებისა, განსხვავებით დასავლური თუ აღმოსავლური გავლენებისა, ბოლომდე შეინარჩუნა სტილიზაციის თავისებური მანერა, რომელიც საკმაოდ ზომიერად იყო შერწყმული რეალისტურ ტენდენციებთან. ამისი მაგალითია არმაზისხევეში და საერთოდ არმაზული კულტურის წიაღში აღმოცენებული ტორეტიკული თუ მცირე პლასტიკის არაერთი ნიმუში, რომელთა ადგილობრივობაც ეჭვს არ იწვევს (31; 32).

აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და მთაში აღმოჩენილი მცირე პლასტიკის ის ნიმუშებიც, რომელთა ერთი ნაწილის აღწერასაც ნაშრომში გთავაზობთ, ამ ტენდენციების კარგი მაგალითია. ცხენის, ირმის და ჯიხვის შესაბნევეები შესრულების მანერით მრავალ პარალელს პოულობს არმაზისხევეურ ნიმუშებთან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახ. წ. III-I სს სამარხებში, სადაც ჩვენი ზოომორფული შესაბნევეებია აღმოჩენილი, ჩნდებოდა მცირე ქანდაკების სხვადასხვა ნიმუშები, ძეწკვიანი რიტუალური საკიდები, რომელთა დამზადების

სტილი ტრადიციული დარჩა, აქ სტილიზაცია ბოლომდე იქნა შენარჩუნებული.

მცრე პლასტიკის ის ნიმუშები, რომლებიც ჩვენი კვლევის სფეროშია მოქცეული, თავისი გენეზისით სწორედ იმ სამყაროსთანაა დაკავშირებული, რომელიც უძველესი დროიდან ეთაყვანებოდა ნაყოფიერების ღვთაებას და გამომდინარეობდა სამყაროს განახლებადი ბუნების უძველესი წარმოდგენებიდან, ამავე დროს, საქართველოში და კავკასიაში უკვე საკმაოდ სწრაფად და ფართოდ იკიდებს სხვა რელიგიური მიმდინარეობებიც, რომელთაც გარკვეული კორექტივები შექჷნდათ არსებულ რწმენა-წარმოდგენათა სისტემაში. აქ იგულისხმება ცეცხლთაყვანისმცემლობა, მითრიაზმი და განსაკუთრებით ქრისტიანობა, რომლის პროპაგანდაც თითქმის პირველმოციქულთა დროსვე დაიწყო საქართველოსა და კავკასიაში.

სიმბოლოებით აზროვნება და სიმბოლური ენის გამოყენება ყველა რელიგიისათვის იყო დამახასიათებელი. ბუნებრივია საჭირო სიმბოლოთა ძიების დროს ქრისტიანები მიმართავდნენ უფრო ძველ და თანადროულ რელიგიებს, მათ შორის წარმართულსაც. ამიტომაც, რომ სხვადასხვა გეომეტრიული თუ მცენარეული სახე, ცხოველისა თუ ფრინველის გამოსახულება, ქრისტიანობამ პირდაპირ შეიტანა მიმოქცევაში. ერთ-ერთი ასეთი ფართოდ გავრცელებული სახე, რომელიც გამოიყენა ქრისტიანობამ იყო ქრისტიანის მორწმუნე სულის განმასახიერებელი ირემი (ფურფირემი, ნუკრი, ხარირემი).

ამიტომაცაა, რომ ადრექრისტიანული ხანის ხელოვნებაში ასე უხვად გვხვდება ირემების გამოსახულებები, განსაკუთრების რელიეფებში.

ამრიგად, შესაბნელებად გამოყენებული ირემის გამოსახულებების (ჩიხვთან, ცხენთან და სხვა ფიგურებთან ერთად) სახით ჩვენ საქმე გავაქვს ლოკალურ ტერიტორიაზე ახალ თუ განახლებულ ფენომენტან, რომელიც თავისი გენეზისით მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმართულ რწმენა-წარმოდგენებსა და კულტმსახურებასთან, მაგრამ ახ. წ. III საუკუნის II ნახევარსა და IV საუკუნეში მათი ასეთი სიმრავლე, ახალი ძალით, ახალი მხატვრული ხერხებით ამოტივტივდება კავკასიონის მთიანეთის სამხრეთ ფერდობებზე, შესაძლოა მიუთითებდეს მათ გარკვეულ შეხებაზე ახალ ქრისტიანულ რელიგიასთანაც. ადამიანები, რომლებიც მკერდზე ირემის შესაბნელებს და მის ატრიბუტებს ღიად ატარებდნენ იმ დიდი გარდატეხის ხანაში,

როცა ქრისტიანობა ის-ის იყო ოფიციალურად იქნა აღიარებული, თითქოს ხარკს უხდიდნენ ძველ ტრადიციასა და ნაყოფიერების ქალღვთაებას, მეორეს მხრივ კი ხაზს უსვამდნენ იმას, რომ თაყვანისცემით იყვნენ გამსჭვალულნი ქრისტიანულ მორწმუნე სულისაღმისაც.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ამირანაშვილი შ. - ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1971.
2. კიკვიძე ი. - მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბილისი, 1976.
3. ლომთათიძე გ. - კლდეეთის სამაროვანი, თბილისი, 1957
4. რამიშვილი ქ. - აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ახ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მცირე პლასტიკის ძეგლები (ცხენი) - ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი №6, თბილისი 2000, გვ. 68-77.
5. რობაქიძე ც. - ნეძიხის სამაროვანზე მოპოვებული მცირე პლასტიკის ნიმუშები - ძეგლის მეგობარი №1, 1990, გვ. 67-71.
6. რჩეული ქართული ზღაპრები - თბილისი, 1958, ე. ვირსალაძის რედაქციით.
7. სურგულაძე ირ. - ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა - თბილისი, 1986.
8. ფანცხავა ლ. - კოლხური კულტურის მხატვრული ხელოვნობის ძეგლები, - თბილისი, 1988.
9. ჩიქოვანი მ. - მიჯაჭვული ამირანი, თბილისი, 1947.
10. ჩიხლაძე ვ. - ირმის გამოსახულებიანი მშვილდსაკინძი ჟინვალის სამაროვნიდან - ძ. მ. №4, 1999.
11. ხიდაშელი მ. - ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში. (ბრინჯაოს ქართული ჭვირგამოსახულებიანი ბალთები) გამოკვლევა, კატალოგი, 1972.
12. ხიდაშელი მ. - ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული

ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები), თბილისი, 1982.

13. ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ. - ურბნისი I, თბილისი 1962, ირმის გამოსახულება იხ. ტაბ. XXII-ზე.

14. ჯავახიშვილი გ. - ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, თბ., 1984.

15. ჯაფარიძე ო., ჯავახიშვილი ალ. - უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბილისი, 1971.

16. Бардавелидзе В. В. - Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957.

17. Массон В. М., Сарияниди В. П. - Среднеазиатская Терракота

18. Мещанинов И. И. — Змея, собака на вещевых памятниках Кавказа - В кн. Записки коллегии Востоковедов. т I, 1925.

19. Мещанинов И. И. - Закавказские поясные бляхи — СМОМПК. Махачкала., 1926.

20. Урушадзе Н. Е. - К исследованию исходных форм ритуально-магической изобразительной деятельности древне-грузинских племен. მაცნე, ისტორიის... სერია 1 1980, გვ. 66-67.

21. Урушадзе Н. Е. - Древнегрузинское пластическое искусство, Тб., 1988.

22. Фармаковский Б. В. - Архайческий период в России — МАР, вып. 34. 1916.

23. Флитнер Н. Д. - Сиро-Хетские памятники Эрмитажа, ТОВЭ. 1939, №1.

24. Чиковани М, - Народный грузинский эпос о прикованном Амيرانе, М., 1966.

25. Членова Н. Л, - Скифский олень, МИА - 115 - Памятники скифосарматской культуры, М., 1962 ст. 167-203.

26. Akurgal E. Phrigische Kunst, Ankara. 1955

26. Keller o. Die antike Tierewlt. Hiersemanns Handbücher B. I, Leipzig, 1908.

- 27 Zimmerman E. Dictionary of Classical Mythology. NY, 1964
29. წითლანაძე ლ. - ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1968
30. Мачабели К. Г, Серебрянные фиалы из Армазисхеви (Из истории античной торевтики Грузии).
31. Мачабели К. Г. - Позднеантичная торевтика Грузии (по материалам торевтики первых веков нашей эры).
33. Корзун В. Б. - Фольклор горских народов Северного Кавказа, М., 1966.
34. Сталь П. - Этнографический очерк черкесского народа, Кавказский сборник, т. 21, 1900.
35. ხიდაშელი მ. - საკულტო რელიგიური პარალელები ლურისტანსა და კავკასიას შორის – კრებული, ძველი ისტორიის საკითხები, ტ. III, 1970 წ.

ტაბულის აღწერილობა

1. შესაბნევი ირმის გამოსახულებით, სამი ძეწკვით. 09-LXI –86-757, სამარხი №199 (ნეძიხის სამაროვანი).
2. შესაბნევი ირმის გამოსახულებით, ორი ძეწკვით. 09-LXI –86-860, სამარხი №168 (ნეძიხის სამაროვანი).
3. შესაბნევი ირმის გამოსახულებით ორი ძეწკვით და მზის სიმბოლოებით. 09-XXV-80-458, სამარხი №357 (ჟინვალის სამაროვანი).
4. შესაბნევი ირმის გამოსახულებით, ძეწკვის ნაწყვეტით, 09-LXI-86-179, სამარხი №123 (ნეძიხის სამაროვანი).
5. შესაბნევის ნაწილი, ირმის თავ-რქა, 09-LXI-86-215, სამარხი №127 (ნეძიხის სამაროვანი).
6. შესაბნევი ირმის გამოსახულებით, 09-LXI-86-52, სამარხი №6 (ბადრიანების სამაროვანი).
7. შესაბნევი ირმის გამოსახულებით, 09-LXI-86-645, სამარხი №175 (ნეძიხის სამაროვანი)

Ketevan Ramishvil

**Animal-shaped buttons from the Aragvi
valley (deer)**

Abstract

Among the smaller artefacts found in the foothills and mountains of eastern Georgia, representations of deer are not uncommon. In the present article, deer figurines used as fibulae will be discussed. The artefacts are made of bronze, poured into moulds. The deer are depicted in right profile, with heads turned toward the viewer. On the basis of the number of turns of the antlers, these appear to be 5-6 year old bucks with large horns. The visible right side is presented in high relief, in a realistic manner as to the representation of bodily features and the effects of light and shadow. This gives the impression of a rounded sculpture, although only the right side of the animal is depicted. The left side is only sketchily worked, and is used to attach the needle of the fibula. The needle, made of iron as a rule, is attached to the rear leg, and closes against a hook attached to the front leg.

The deer is believed to have represented an incarnation of the goddess of fertility, abundance and the patronage of animals (cf. Svanetian Dali). The deer's large horns are in contact with the celestial realm, like the representation of the world-tree, and symbolize the integrity of the universe. The buck, as a symbolic equivalent of the world-tree, goes back to pre-Christian times, although it has been incorporated into Christian art.

The deer representations discussed in the article are dated to the 3rd-4th centuries AD.

ტაბულა

